5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება „მიმწოდებელი"-ს მიერ წარმოდგენილი ფორმა №2-ის საფუძველზე „შემსყიდველი"-სა და „მიმწოდებელი"-ს საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებში და იმავე განყოფილების თანამშრომელ(ებ)ი.

## 6. სამუშაოს მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. სამუშაოს მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8.;
6.2. სამუშაო უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 დღისა.
6.3. სამუშაოები შესრულდება შემსყიდველის (წარმოდგენილი სამგორის გამგეობის სახით) მოთხოვნის საფუძველზე. რაიონის მიხედვით შესაკეთებელი და მოსაწყობი კონკრეტული ობიექტების მისამართი, მოცულობა და შესრულების ვადები ეცნობება მიმწოდებელს დამატებით. სამუშაოები განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2.5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 11 მაისის ჩათვლით.

## 13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**შემსყიდველი:**

სამგორის რაიონის გამგეობა
მის. ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8,
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ა/ა GE24NB0330100200165022
კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 206 351 598
ტელ. 231 88 86

გამგებელი:

---------------- მამუკა ნოქური

**მიმწოდებელი:**

შპს „მეგაატ-ჯი"
მის ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №31
სს „თი-ბი-სი" ბანკი
ა/ა GE02TB1100936020100007
კოდი TBCBGE22
საიდენტ. კოდი 204 573 096
ტელ. 593 33 15 96

დირექტორი:

---------------- ალექსანდრე ბელოუსოვი

2015 წლის 9 თებერვლის № 2.9.17/20/016 ხელშეკრულების

დანართი №1

| # | სამუშაოების დასახელება | განზ. ერთეული | რაოდენობა | ერთ. ფასი % | სულ; ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| | რაიონის ტერიტორიაზე 6 ერთეული დასასვენებელი და საბავშვო კუთხეების, აგრეთვე 12 ერთეული სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია. აქედან, არსებულზე დეფექტური აქტების, ხოლო ახლებზე პროექტების მომზადება და მათ მიხედვით ხარჯთაღრიცხვის შედგენა | ლარი | 550 000.00 | 0.990% | 5445 |
| | სულ: | | | | 5445.00 |

შენიშვნა: მოცემული გაფასება მოიცავს ყველა დანარიცხებს, დღგ-ს ჩათვლით

სამგორის რაიონის გამგებელი: მამუკა ჩოქური

შპს „მეგავატ-ჯი"-ს დირექტორი: ალექსანდრე ბელოუსოვი

მიღება – ჩაბარების აქტი №40

23 მარტი 2015 წელი

ქვემო ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი ზ. თამლიანის სახით და მეორეს მხრივ შპს „მეგაპატ-ჯი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ა. ბელოუსოვის სახით, ვადასტურებთ, რომ „მიმწოდებელ"-მა მიაწოდა და „შემსყიდველ"-მა მიიღო მხარეებს შორის 2015 წლის 9 თებერვალს გაფორმებული №2.9.17/20/016 ხელშეკრულებით 2015 წელს გათვალისწინებული სკვერების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია 2 ეგზემპლარად შემდეგ მისამართებზე:

| № | სამუშაოების და დანახარჯების დასახელება | სულ, ჯამი: |
|---|---|---|
| 1 | 2 | 12 |
| 1 | აფრიკის დასახლება, ჭიჭინაძის №23ა - სკვერის მოწყობის პროექტი. | 28966.2 |
| 2 | ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპუსი №25 -ს წინ მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობის პროექტი. | 44951.6 |
| 3 | ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპუსი №40-ის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაციის პროექტი. | 324913 |
| 4 | ვარკეთილი ზ.პლატო, მე-2 მ/რ, კორპუსი №26-27 კორპუსებს შორის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაციის პროექტი. | 11623.6 |
| 5 | ქ.თბილისი. ვარკეთილის 3, მე-4 მ/რ, მე-2 რიგი 2-3 კორპუსებს შორის სკვერის მოწყობის პროექტი. | 36247.6 |
| 6 | ლილოს დასახლება. I კვ. 23-24 კორპ. მიმდებარედ სკვერის მოწყობის პროექტი. | 32942.9 |
| 7 | ლილოს დასახლება. ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაციის პროექტი. | 57767.0 |
| 8 | მოსკოვის გამზ. მე-5 კვ. კორპუსი №13-ის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაციის პროექტი. | 47873.1 |
| 9 | მე-2 ნავთლუღის დასახლება, მე-2 ქუჩის დასაწყისში სკვერის რეაბილიტაციის პროექტი. | 23583.0 |
| 10 | საქჰესის დასახლება. მე-3 კორპუსის მიმდებარედ სკვერის მოწყობის პროექტი. | 28160.4 |
| 11 | სოფელი დიდი ლილო. საბავშვო ბაღის მიმდებარედ სკვერის მოწყობის პროექტი. | 29884.7 |
| 12 | სოფელი ნასაგური. საბავშვო ბაღთან, სპორტული მოედნის გვერდით სკვერის მოწყობის პროექტი. | 36372.8 |

| | | |
|---|---|---|
| 13 | სოფელი წინუბანი. სკოლის გვერდით სკვერის მოწყობის პროექტი. | 22775.3 |
| 14 | ვარკეთილის დასახლება, მეგობრობის ქუჩა ნაძვნარში | 48871.4 |
| 15 | ვარკეთილის 3, მე-2 მ/რ. 2ა-2ბ კორპუსების მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაციის პროექტი. | 129788.7 |
| | სულ | 612,299.5 |

საერთო ღირებულებით 612299 ლარი და 50 თეთრი.
საიდანაც „მიმწოდებელი"-ზე მისაღები თანხა შეადგენს 612299.50X0.99% = 6061 ლარს და 77 თეთრს.
ხელშეკრულებიდან გამომდინარე ეკუთვნის 5445 ლარი.

„შემსყიდველი"

სამგორის რაიონის გამგეობის

ინფრასტრუქტურის განვითარების

განყოფილების უფროსი:

ზ. თამლიანი

„მიმწოდებელი"

შპს „მეგავატ-ჯი"-ს

დირექტორი:

ა. ბელოუსოვი

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №2.9.17/20/011

ქ. თბილისი

12 თებერვალი 2014 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის მ. შ. გიორგი ხახნელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს "შეგავატ-ჯი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") დირექტორი ალექსანდრე ბელოუსოვის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვით სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი" -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

## 2. ხელშეკრულების საგანი, შესყიდვის საშუალება.

2.1 ხელშეკრულების საგანია - რაიონის ტერიტორიაზე 18-მდე ერთეული ახალი სკვერის, დასასვენებელი კუთხის მოწყობის საპროექტო სამუშაოების და ხარჯთაღრიცხვის მომზადების, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე არსებული 10-მდე ერთეული სკვერის, დასასვენებელი კუთხის აღდგენა-შეკეთების დეფექტური აქტების და ხარჯთაღრიცხვის მომზადების მომსახურების შესყიდვა.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით;

2.2. CPV კოდი 71320000

## 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 9900 ლარს და 00 თეთრს, ანაზღაურება მოხდება ფაქტიური შესრულების მიხედვით;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

3.3 გასაწევი მომსახურების მოცულობები არის სავარაუდო. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტიურად გასაწევი მომსახურების მიხედვით მოხდება მათი დაზუსტება-შემცირება ან გაზრდა, ერთეულის ფასისა და ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეუცვლელად.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების თანამშრომელ(ებ)ი და შესაბამისი დარგის კურატორი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და მითითებულ ვადაში წარმოუდგინოს შემსყიდველს ამ უკანასკნელის აღმოფხვრის დოკუმენტები.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

## 6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე- ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8ა, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 დღეში.

6.2. მიწოდების ადგილი: რაიონის ტერიტორია (კონკრეტული მისამართები ტენდერში გამარჯვებულს გადაეცემა ერთობლივად).

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს:

I. ქ. თბილისის სამგორის რაიონის ტერიტორიაზე 18-მდე ერთეულის სკვერის, დასასვენებელი კუთხეების მოწყობის საპროექტო სამუშაოების განხორციელება და ხარჯთაღრიცხვის მომზადება:

ა) ახალი ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა, მასშ. 1:500; (საჭიროების შემთხვევაში)

ბ) არქიტექტურული პროექტის შედგენა:
- გენგეგმა მ-1:500
- დეტალური გეგმები მ-1:100 ან 1:200;
- ბილიკების სქემა მ-1:500;
- სკვერის დენდროლოგიის სქემა მ-1:500;
- სკამების, ურნების და სხვა ელემენტების განლაგების გეგმა მ-1:500;
- განათების განლაგების გეგმა მ-1:500; (საჭიროების შემთხვევაში)
- განმარტებითი ბარათი გამოყენებული მასალების ჩამონათვალით მოცულობების მითითებით;

გ) ელ. გაყვანილობისპროექტი. (საჭიროების შემთხვევაში)

დ) სამუშაო მოცულობების ხარჯთაღრიცხვა მასალების კლასიფიკაციის ნიშნებით. პროექტში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ნატურალური ხის, ასევე სხვა მასალებით დამზადებული სკვერის ელემენტები. პროექტის შედგენისას საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს წყლის სიკო.

პროექტს უნდა ახლდეს სკვერების, დასასვენებელი და საბავშვო კუთხეების ვიზუალიზაცია არა ნაკლებ 3 ხედისა.

- შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით;
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა სამუშაოების განხორციელების პროცესში, კონსულტაციების გაწევა.

საჭიროების შემთხვევაში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების კორექტირება და შესასრულებელი სამუშაოების იდენტურობის დადასტურება;

- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ალბომის სახით ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონულ მატარებელზე დამკვეთის მიერ განსაზღვრულ ფორმატში.

II. ქ. თბილისის სამგორის რაიონის ტერიტორიაზე სკვერების, დასასვენებელი და საბავშვო კუთხეების აღდგენა-შეკეთების სამუშაოებზე დეფექტური აქტების და ხარჯთაღრიცხვის მომზადება:

წარმოდგენილი უნდა იყოს:

1. განმარტებითი ბარათი;
2. სამუშაოების შესაბამისი ნახაზები და ესკიზები;
3. მოცულობების უწყისი;
4. ხარჯთაღრიცხვები (ყველა აუცილებელი სამუშაოების გათვალისწინებით).

შენიშვნა:

- შესასრულებელი სამუშაოების შედგენისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით;
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა სამუშაოების განხორციელების პროცესში, კონსულტაციების გაწევა, საჭიროების შემთხვევაში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების კორექტირება და შესასრულებელი სამუშაოების იდენტურობის დადასტურება.

7.5 დროულად და ხარისხიანად შეასრულოს და შემსყიდველს მიაწოდოს დადგენილ ვადებში შესაბამისი ტენდერის ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების მოთხოვნები:

7.6 მიწოდებული დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებულ სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნეს მხარისათვის(მიმწოდებლი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების დაკისრების გაცნობიდან 1 თვის განმავლობაში.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან – არაუგვიანეს 90 დღეში.

## 13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი**

სამგორის რაიონის გამგეობა
მის: ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8_ı
სს „ლიბერთი ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა.ა GE95LB 0125152101627000
კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 206 351 598

გამგებლის მ.შ.

გ. ხახნელიძე

**მიმწოდებელი**

შ.პ.ს „მეგაატ-ჯი"
მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №31
სს „თი ბი სი" ბანკის
მარჯანიშვილის ფილიალი
ა/ა GE02TB110093 6020 1000 07
კოდი TBCBGE22
საიდენტ. კოდი 204 573 096

დირექტორი

[illegible]

# შეთანხმების აქტი №1

## 2014 წლის 12 თებერვლის №2.9.17/20/011 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ

## პირობებთან დაკავშირებით

10 აპრილი 2014 წელი

ქ. თბილისი

შპს „მეგავატ ჯი"-სა და ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის გამგეობას შორის 2014 წლის 12 თებერვლის №2.9.17/20/011 ხელშეკრულება ითვალისწინებდა ქ. თბილისში, სამგორის რაიონის ტერიტორიაზე 18-მდე ერთეული ახალი სკვერის, დასასვენებელი კუთხის მოწყობის საპროექტო სამუშაოების და ხარჯთაღრიცხვის მომზადებას, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე არსებული 10-მდე ერთეული სკვერის, დასასვენებელი კუთხის აღდგენა –შეკეთების დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადების შესყიდვას.

ვინაიდან ყველა სკვერი უნდა დაგეგმარდეს ინდივიდუალურად: ლანდშაფტის, მოსახლეობის ინტერესების, ქალაქის განაშენიანების, ეკოლოგიის და სხვა საკითხების გათვალისწინებით, ამიტომ ყველა ამ პირობების გათვალისწინებით, ხელშეკრულებით განსაზღვრულ 60 დღის ვადაში, ვერ მოხერხდა ადგილობრივი მაცხოვრებლებთან პროექტების საბოლოო შეთანხმება.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ერთის მხრივ ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა, მისი გამგებლის გიორგი ხახნელიძის სახით, მეორეს მხრივ შპს „მეგავატ ჯი", დირექტორის ალექსანდრე ბელოუსოვის სახით (შემდგომში „მიმწოდებლები") ეხელმძღვანელობით რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობასა და შპს „მეგავატ-ჯი"-ს 2014 წლის 12 თებერვლის №2.9.17/20/011 ხელშეკრულების 9.1 და 10.1 პუნქტებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

### შეთანხმების საგანი

1. შევიდეს ცვლილება, 2014 წლის 12 თებერვალს გაფორმებული №2.9.17/20/011 ხელშეკრულების 6.2, 12.1 და 3.1 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ 6.2. მომსახურების მიწოდების ვადა – ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 12 ივნისამდე.
   12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 12 ივლისამდე.
2. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია ხელისმოწერის დღიდან და შეადგენს 2014 წლის 12 თებერვლის №2.9.17/20/011 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
3. „მიმწოდებელი"-ს მიერ ხელშეკრულებით და შეთანხმების აქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველი"-ს მხრიდან განახორციელებენ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული პირები.
4. წინამდებარე შეთანხმების აქტი შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომლის ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველ"-თან, ხოლო ერთი ეგზემპლარი „მიმწოდებელ"-თან.

**შემსყიდველი:**

სამგორის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8.1
სს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE95LB0125152101627000
კოდი LBRTGE22
საიდ. კოდი 206351598

გამგებელი

გ. ხახნელიძე

**მიმწოდებელი:**

შპს „მეგავატ-ჯი"
მის. ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 31
სს „ თიბისი ბანკის"
მარჯანიშვილის ფილიალი
ა/ა GE02TB011 0093 6020 1000 07
კოდი TBCBGE22
საიდ. კოდი 204 573 096

დირექტორი

ალ. ბელოუსოვი

2014 წლის 12 თებერვლის №2.9.17/20/011 ხელშეკრულების დანართი 1

## გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

| № | გასაწევი მომსახურების დასახელება | შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, ლარი | ღირ. ფასი % | სულ, ლარი |
|---|---|---|---|---|
| 1 | რაიონის ტერიტორიაზე 18-მდე ერთეული ახალი სკვერის, დასასვენებელი კუთხის მოწყობის საპროექტო სამუშაოები და ხარჯთაღრიცხვის მომზადება, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე არსებული 10-მდე ერთეული სკვერის, დასასვენებელი კუთხის აღდგენა - შეკეთების დეფექტური აქტების მომზადება | 500000.0 | 1.98 | 9900.0 |
| | სულ: | 500000.0 | | 9900.0 |

სამგორის რაიონის გამგებლის მ. შ. გიორგი ხახნელიძე

შპს „მეგავატ-ჯი"-ს დირექტორი ალექსანდრე ბელოუსოვი

მიღება – ჩაბარების აქტი № 120

3 ივნისი 2014 წელი

ქ. თბილისი

ქვემო ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") გამგებლის მოადგილის შოთა გრიგოლია სახით და მეორეს მხრივ შპს „მეგავატ-ჯი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ალექსანდრე ბელოუსოვის სახით, ვადასტურებთ, რომ „მიმწოდებელ"-მა მიაწოდა და „შემსყიდველ"-მა მიიღო მხარეებს შორის 2014 წლის 12 თებერვალს გაფორმებული №2.9.17/20.011 ხელშეკრულებით 2014 წლის გათვალისწინებული მომსახურება მისამართებზე:

| № | სამუშაოების დასახელება | სახარჯთაღრიცხვო თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისი, ორხევის დას. მუხაძე №6/8 - ს მიმდებარედ სკვერის საპროექტო სამუშაოები | 39143.1 |
| 2 | ქ. თბილისი, ცისკარიშვილის „ი" კორპუსის მიმდებარედ სკვერის საპროექტო სამუშაოები | 37267.6 |
| 3 | ქ. თბილისი, ქინძმარაულის შესახვევი №11 მიმდებარედ სკვერის საპროექტო სამუშაოები | 41860.5 |
| 4 | ვარკეთილის 3, 1 მკრ, 35-ე კორპუსის სკვერის საპროექტო სამუშაოები | 45555.8 |
| 5 | ვარკეთილის 3, IV მკრ, 406ა კორპუსის სკვერის საპროექტო სამუშაოები | 59969.2 |
| 6 | ვარკეთილის 3, II მკრ, 310-ე კორპუსის სკვერის საპროექტო სამუშაოები | 29080.9 |
| 7 | ვარკეთილის 3, II მკრ, მე-5-ე კორპუსის სკვერის საპროექტო სამუშაოები | 45058.2 |
| 8 | ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო, მე-2 მკრ 22-ე კორპუსის მიმდებარედ სკვერის საპროექტო სამუშაოები | 37133.4 |
| 9 | ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო, მე-2 მკრ 13-ე კორპუსის მიმდებარედ სკვერის საპროექტო სამუშაოები | 39321.3 |
| 10 | ლილოს დასახლება, II მკრ მე-4 და მე-5 კორპ. შორის არს. სპორტული მოედანი. სკვერის საპროექტო სამუშაოები | 27696.1 |
| 11 | აეროპორტის დასახლება, №126 კორპ. მიმდებარედ სკვერის საპროექტო სამუშაოები | 32281.4 |
| 12 | მოსკოვის გამზირი №36ა-ს მიმდებარედ სკვერის საპროექტო სამუშაოები | 37773.3 |
| | **სულ სახარჯთაღრიცხვო ჯამი:** | 472140.8 |

საიდანაც „მიმწოდებელი"-ზე მისაღები თანხა შეადგენს 472140.8X1.98% = 9348 ლარს და 39 თეთრს.

„შემსყიდველი"

სამგორის რაიონის გამგებლის

მოადგილე

შოთა გრიგოლია

„მიმწოდებელი"

შპს „მეგავატ-ჯი"-ს

დირექტორი:

ალექსანდრე ბელოუსოვი

# ხელშეკრულება #01/49-14
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 20 თებერვალი 2014 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის მიხეილ ჩიტაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 534 502;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" - ცენტრალური ფილიალი;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ანგ/ნომერი: GE07BG0000 000 771 056 400;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
**შპს „მეგავატ.ჯი", წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ბელოუსოვის სახით,**
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #31;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204573096;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი";
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ა/ა: GE02TB1100936020100007;
(შემდგომში „მიმწოდებელი")

იმის გათვალისწინებით, რომ „შემსყიდველმა" ჩაატარა **კონკურსი #1062 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე**, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა „მიმწოდებლის" საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება გაუწიოს „შემსყიდველს" ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: **27 950 (ოცდაშვიდიათს ცხრაასორმოცდაათი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით)** შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება".

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
   ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – „შემსყიდველ" ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" ორგანიზაციამ „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
   - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვა
   - CPV კოდი: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები.

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია **დანართში #1**, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მიწოდების პირობები და ვადები:

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან <u>30 (ოცდაათი) კალენდარული დღის</u> განმავლობაში წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი (ელექტრონული ვერსია ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით) შემადგენლობით:

3.2 კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს **დანართი #1**-ში მითითებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

- არქიტექტურული ნაწილი (მუშა პროექტი);
- ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, პარკინგი და გამწვანება, გამშვები პუნქტის (შლაგბაუმის) მოწყობა;
- ეზოს განათების სისტემა;
- კონსტრუქციული ნაწილი (საჭიროების შემთხვევაში);
- ტექნოლოგიური ნაწილი;
- შიდა წყალმომარაგება – კანალიზაცია;
- გარე კომუნიკაციები;
- შიდა ელ.მომარაგება განათება;
- სუსტი დენები, ქსელები;
- სასერვერო ოთახის მოწყობა;
- ვენტილაცია, კონდენცირება;
- გათბობა (გათვალისწინებული უნდა იქნეს ეზოს ტერიტორიაზე საქვაბის მოწყობა)
- დამოუკიდებელი ელ.მომარაგება (გათვალისწინებული უნდა იქნეს ეზოს ტერიტორიაზე დიზელ-გენერატორის განთავსება);
- შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;
- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
- მშენებლობის ორგანიზების პროექტი, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების გრაფიკი;
- სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- სადემონტაჟო სამუშაოების დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა.

3.3 სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს - **900 000,00 ლარს (ცხრაასი ათასი ლარი და 00 თეთრი).**

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია, სრულყოფილი პროექტის წარმოდგენის შემდეგ, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების საექსპერტო შემოწმება დამოუკიდებელ ექსპერტთან (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო").

3.5 მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის რეალიზების პერიოდში განახორციელოს მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საპროექტო დოკუმენტაციაში.

3.6 საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ძალისხმევითა და ხარჯებით სხვადასხვა სახის ნებართვებისა აღება ადმინისტრაციული ორგანოებიდან.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტი) და დამოუკიდებელი ექსპერტის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

4.2 მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირები არიან სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია ან/და კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

5. ფასები და ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

5.2 დაფინანსების წყარო: **2014 წლის საბიუჯეტო ასიგნებები;**

5.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **27 950 (ოცდაშვიდიათს ცხრაასორმოცდაათი) ლარს.**

5.4 ფასი გამოსახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით;

ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტისა და დამოუკიდებელი ექსპერტის დადებითი დასკვნის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) **სამუშაო დღის განმავლობაში.**

5.6 საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებული იქნას წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-სა, იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენის საფუძველზე.

5.7 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი".

6.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) ან ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

6.5 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია ან/და კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 „მიმწოდებელს" უფლება არ აქვს მოახდინოს შესრულებული პროექტის რეალიზება (განხორციელება) სხვა დამკვეთისათვის.

8.2 „მიმწოდებელმა" „შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების ან/და „შემსყიდველის" მიზეზით გამოწვეულის გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 თუ „მიმწოდებელი" ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.

.2 განუსაზღვრის სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი" ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.4 თუ „შემსყიდველი" დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი" დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

9.5 თუ „მიმწოდებელი" დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, „შემსყიდველი" წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

9.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.7.1 თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.7.2 „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

9.7.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის" საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

9.7.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.8 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ ხელშეკრულებაში, დარეგულირებული და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება „მიმწოდებლისათვის" მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 უცხოელი „მიმწოდებელი" პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2 ადგილობრივი „მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან" და ერთი პირი „შემსყიდველთან"). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო | შპს „მეგავატ-ჯი" |
|  |  |
| მიხეილ ჩიტაძე | ალექსანდრე ბელოუსოვი |

დანართი #1

# ტექნიკური პირობა

შენობის აღწერილობა:

- 3 სართული - ფასადის მოპირკეთება + გარე განათება;
- 1 იზოლირებული კარის გაჭრა (ქუჩის მხრიდან)
- ცენტრალური შესასვლელიდან დამოუკიდებელი კარის გაჭრა 1 სართულზე, (შპს-სათვის)
- 1 სართული - 1 სველი წერტილის მოწყობა (წინა ფლიგელში)
- 2 სართული - 2 სველი წერტილის მოწყობა (წინა ფლიგელში)
- 2 სართული - 2 სველი წერტილის მოწყობა (უკანა ფლიგელში)
- 2 სართული - (უკანა ფლიგელი) საკონფერენციო დარბაზის მოწყობა
- ცენტრალური გათბობა-კონდიცირება
- ვენტილაცია
- სუსტი დენები
- ქსელის ინფრასტრუქტურა
- სახანძრო უსაფრთხოება
- 1 უკანა შემოსასვლელი
- შედა ეზოს მოწყობა
- სამზარეულოს მოწყობა 2 სართულზე
- ტურნიკეტები
- სარეგისტაციოს მოწყობა 10 ოპერატორისათვის (არანაკლებ 50მ$^2$)
- უფროსის კაბინეტი (სველი წერტილით)
- მოადგილის კაბინეტი

დამატებითი პირობები:

- საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრველყოს სხვადასხვა სახის ნებართვების აღება ადმინისტრაციული ორგანოებიდან.
- მიმწოდებელი ვალდებულია მშენებლობის მიმდინარეობის დროს გაუწიოს ზედამხედველობა.

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო | შპს „მეგავატ.ჯი" |
| მიხეილ ჩიტაძე | ალექსანდრე ბელოუსოვი |

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს
სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

# მიღება-ჩაბარების აქტი #01/49-14

24 ივნისი 2014 წელი

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის მიხეილ ჩიტაძის სახით და მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი"

შპს „მეგავატ-ჯი"

(მიმწოდებლის დასახელება)

ალექსანდრე ბელოუსოვი

(დირექტორი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 20 თებერვალს #01/49-14 ხელშეკრულების ფარგლებში „მიმწოდებელმა" წარმოადგინა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის #42-ში სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის არქიტექტურული კონცეფცია და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 27 950,00 (ოცდაშვიდიათას ცხრაასორმოცდაათი) ლარს.

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

მომსახურების ღირებულება შეადგენს 27 950,00 (ოცდაშვიდიათას ცხრაასორმოცდაათი) ლარს.

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:

1. შპს „მეგავატ-ჯი" /ალექსანდრე ბელოუსოვი/

მიიღო:

1. სააგენტოს უფროსის მოადგილე /მიხეილ ჩიტაძე/

2. სააგენტოს ეკონომიკური სამმართველოს უფროსი /გიორგი კველიშვილი/

3. სააგენტოს ეკონომიკური სამმართველოს სპეციალისტი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკურ ზედამხედველობის საკითხებში /იროდიონ ნანობაშვილი/

# შეთანხმების აქტი #01/49-14

(20.02.2014 წლის #01/49-14 ხელშეკრულებაში ცვლილების და დამატებების შესახებ)

5 ნოემბერი 2014 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის გიორგი ჩიფჩიურის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის #3;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 534 502;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: 220 101 222;
ანგ/ნომერი: 200 122 900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
შპს „მეგავატ.ჯი", წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ბელოუსოვის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #31;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204573096;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი";
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ა/ა: GE02TB1100936020100007;
(შემდგომში „მიმწოდებელი")

კონკურსის საშუალებით 2014 წლის 20 თებერვალს გაფორმებული #01/49-14 ხელშეკრულების მე-7 მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

შევიდეს ცვლილება სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საჭიროებისათვის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #01/49-14 ხელშეკრულებაში, კერძოდ:

1. ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდოს 2795,00 (ორიათასშვიდასოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარით და 5.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 30 745,00 (ოცდაათიათას შვიდასორმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს."**
2. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მოცემული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.
3. შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერიდან, წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.
4. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

„შემსყიდველი"

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

გიორგი ჩიფჩიური

„მიმწოდებელი"

შპს „მეგავატ.ჯი"

ალექსანდრე ბელოუსოვი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს
სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

# მიღება-ჩაბარების აქტი #01/49-14-2

ქ. თბილისი

11 ნოემბერი 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის გიორგი ჩიფჩიურის სახით და მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი"

შპს „მეგავატ-ჯი"

(დაწესებულების დასახელება)

ალექსანდრე ბელოუსოვი

(დირექტორი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 20 თებერვალს #01/49-14 ხელშეკრულების ფარგლებში „მიმწოდებელმა" წარმოადგინა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის #42-ში სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის არქიტექტურული კორექტირებული კონცეფცია და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 30 745,00 (ოცდაათიათას შვიდასორმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

მომსახურების ღირებულება შეადგენს 2795,00 (ორიათასშვიდასოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით მომსახურების ღირებულება შეადგენს 30 745,00 (ოცდაათიათას შვიდასორმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:

1. შპს „მეგავატ-ჯი" /ალექსანდრე ბელოუსოვი/

მიიღო:

1. სააგენტოს უფროსის მოადგილე /გიორგი ჩიფჩიური/

2. სააგენტოს ეკონომიკური სამმართველოს უფროსი /მამუკა ლაშხია/

3. სააგენტოს ეკონომიკური სამმართველოს სპეციალისტი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკურ ზედამხედველობის საკითხებში /არჩილ შურღაია/

ხელშეკრულება №6
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2012 წლის 6 თებერვალი

ქ.გურჯაანი

ერთი მხრივ, გურჯაანის მუნიციპალიტეტი (მისამართი: ქ. გურჯაანი, ი.ნონეშვილის ქუჩ. №13) წარმოდგენილი მისი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი პეტრუზაშვილის სახით, მეორე მხრივ შპს „მეგავატ-ჯი" (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.N31 ) მისი წარმომადგენელი ალექსანდრე ბელოუსოვი დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურეობა" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება" – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქალაქ გურჯაანში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის სრული ტეაბილიტაციის სახარჯთაღრიცხვო-საპროექტო სამუშაოების მიწოდება.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 44000 (ორმოცდაოთხი ათასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;ბ) მომსახურეობის მიწოდებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია:ა) მიაწოდოს მომსახურეობა სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 8.2 პუნქტში.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში; კონკრეტული დაკვეთის შესაბამისი მომსახურეობის მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის საფუძველზე 3 (სამი) სამუშაო დღეში.

## 6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობისა განმახორციელებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ი.

## 7. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. N13;

მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან , არაუგვიანეს 30 დღისა. 2012 წლის 6 თებერვლიდან 2012 წლის 6 მარტამდე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.5. ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან;
10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხემკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ხელსკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 6 მარტამდე.

**შემსყიდველი:** გურჯაანის მუნიციპალიტეტი ქ. გურჯაანი, ი.ნონეშვილის ქ#13. სს „ ლიბერთი ბანკის" გურჯაანის ფილიალი, ბ/კ LBRTGE22 ანგარიშის # GE32LB120114071339001.

**მიმწოდებელი:** შპს „მეგავატ-ჯი" ქალაქი თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N31. ს/კ 204573096. სს "თიბისი ბანკი" მარჯანიშვილის ფილიალი, ბ/კ TBCBGE22. GE02TB1100936020100007. ტელ:593331596.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა

გამგებლის მ/შ

გიორგი პეტრუხაშვილი

შპს „მეგავატ-ჯი"

დირექტორი

ალექსანდრე [illegible]

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
მიღება-ჩაბარების აქტი

2012 წლის 6 მარტი

ქ. გურჯაანი

ერთის მხრივ გურჯაანის მუნიციპალიტეტი, მისი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი პეტრუხაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „მეგავატ-ჯი" მისი დირექტორის ალექსანდრე ბელოუსოვის სახით ვადასტურებთ, რომ დამკვეთა შემსრულებლისაგან ჩაიბარ მახარეთა შორის 2012 წლის 6 თებერვალს გაფორმებული N6 ხელშეკრულების საფუძველზე ქალაქ გურჯაანში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის სრული რეაბილიტაციისათვის შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მომსახურეობის ღირებულებამ შეადგინა 44000 (ორმოცდაოთხი ათასი) ლარი.

შპს „მეგავატ-ჯის"
დირექტორი

ალექსანდრე ბელოუსოვი

გურჯაანის მუნიციპალიტეტი,
გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი პეტრუხაშვილი

# ხელშეკრულება № 108

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონკურსი)

„02" „ აპრი " 2012 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16 ტელ. 2 26-13-37, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204862078), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **გიორგი კერვალიშვილის** სახით და შპს „შეგავატ-ჯი" (მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №31, ტელ.: 593 33 15 96, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE02TB1100936020100007, სს „თიბისი ბანკი", კოდი TBCBGE22, სკ-204573096) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსანდრე ბელოუსოვის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10² მუხლის პირველი პუნქტისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება"_წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

**ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სასაწყობო ტერიტორიაზე ახალი სასაწყობო ტერმინალის საოფისე შენობის მშენებლობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო მომსახურება(CPV კოდი - 71320000).**

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა **29 000** (ოცდაცხრა ათასი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დასრულება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში საკონკურსო წინადადების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მიაწოდოს საპროექტო დოკუმენტაცია შემსყიდველს ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №16-ში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. მომსახურების ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტები: ირაკლი სირაძე და მიხეილ ჭაბაშვილი, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

## 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს გიორგი გეძაძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

## 8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07% ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

### 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

### 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

### 16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

### 17. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16,
ტელეფონი: 2 26-13-37,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-204862078.

**მიმწოდებელი**

შპს „მეგავატ-ჯი",
მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №31,
ტელეფონი: 593 33 15 96,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE02TB1100936020100007,
სს "თიბისი ბანკი", კოდი TBCBGE22,
სკ-204573096.

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
## მიღება-ჩაბარების აქტი № 264

„30“ 03 2012წ.

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ფინანსთა სამინისტროს, მისი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის გიორგი გაჯაძის სახით და მეორეს მხრივ „მიმწოდებელი“

შპს „მეგავატი“

(დაწესებულების დასახელება)

ალექსანდრე ბელოუსოვი

(ხელმძღვანელი)

შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ მხარეთა შორის 2012 წლის 2 მარტის №108 ხელშეკრულების ფარგლებში „მიმწოდებელმა“ ფინანსთა სამინისტროს საჭიროებისათვის განახორციელა: **ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სასაწყობო ტერიტორიაზე ახალი სასაწყობო ტერმინალის, საოფისე შენობის მშენებლობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო მომსახურება,** სამუშაოს საერთო ღირებულებით: **29000** (ოცდაცხრა ათასი) ლარი.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: **29000** (ოცდაცხრა ათასი) ლარს

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს: **29000** (ოცდაცხრა ათასი) ლარს

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია: **29000** (ოცდაცხრა ათასი) ლარი.

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

*ჩააბარა:*
შპს „მეგავატი“-ს დირექტორი / ა. ბელოუსოვი /

*მიიღო:*
ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე / გ. გაჯაძე /

MEGA WATT
GEORGIA
204573098

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
204562078